საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1142-03
19/08/2024

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ სტუდენტთათვის, რომელთაც 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში წარმატებით დაასრულეს ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა და სურთ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, შემოქმედებითი ტურის რეგისტრაციის ვადებისა და პირობების დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47^3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. ვინაიდან 2024-2025 სასწავლო წლამდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს არ აქვთ გავლილი სახელოვნებო-შემოქმედებითი კონკურსი იმ მიზეზით, რომ პროგრამაზე ჩაბარების დროისთვის აღნიშნული კონკურსი არ იყო გათვალისწინებული სახელოვნებო-შემოქმედებითი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დაშვების წინაპირობად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 23 ივლისის MES 4 24 0000899043 წერილის საფუძველზე, შესაძლებელია დაიშვას გამონაკლისი ზემოაღნიშნულ სტუდენტებისთვის და მათ მიეცეთ უფლება სწავლა განაგრძონ აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამებზე, რისთვისაც ჩარიცხვამდე სტუდენტებმა უნდა დააკმაყოფილონ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი წინაპირობა და გაიარონ სახელოვნებო-შემოქმედებითი კონკურსი, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით. ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე,

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, რექტორის 2024 წლის 15 აპრილის N745-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის “არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)” შემოქმედებითი ტურის დებულების“ საფუძველზე, საქართველოს, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინსიტროს 2024 წლის 23 ივლისის MES 4 24 0000899043 წერილის, რექტორის 2024 წლის 13 აგვისტოს N2391-02 ბრძანების, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 19 აგვისტოს 14459-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ იმ პირებისთვის, რომელთაც 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში წარმატებით დაასრულეს ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა და სურთ სწავლა განაგრძონ არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამაზე, შემოქმედებითი ტურზე ელექტრონული რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 19, 20, 21 აგვისტო შემდეგ ბმულზე: https://forms.gle/icV9NonGhuAcKebA7

2. ელექტრონული რეგისტრაციისას განაცხადთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
3. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი შშმ ან/და სსსმ პირია და საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს, აღნიშნული უნდა მიუთითოს განცხადებაში და წარმოადგინოს შესაბამისი დამადასატურებელი დოკუმენტი (სათანადო ცნობა).
4. შემოქმედებითი ტური ჩატარდება ამ ბრძანების დანართში მოცემული პირობებისა და ვადების შესაბამისად.
5. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, შემოქმედებითი ტურის ჩატარების თარიღისა და ადგილმდებარეობის შესახებ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ინფორმაცია განათავსოს არაუგვიანეს 2024 წლის 30 აგვისტოსი, ერთი თვის ვადით, მხოლოდ პირადი ნომრის, ჩატარების თარიღისა და ადგილმდებარეობის მითითებით.
6. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, შემოქმედებითი ტურის შედეგები განათავსოს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ერთი თვის ვადით არა უგვიანეს 2024 წლის 14 სექტემბრისა მხოლოდ პირადი ნომრისა და მიღებული შედეგის მითითებით.
7. შემოქმედებითი ტურის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2024 წლის 15 სექტემბერს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: archadmissions@iliauni.edu.ge
8. სააპელაციო განაცხადების განხილვა მოხდება 2024 წლის 16 სექტემბერს.
9. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საბოლოო შედეგები უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განათავსოს ერთი თვის ვადით არაუგვიანეს 2024 წლის 18 სექტემბრისა, მხოლოდ პირადი ნომრისა და შესაბამისი შედეგის მითითებით.
10. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს, 2024 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის შემოქმედებითი ტურის ფარგლებში წარმოდგენილი ნამუშევრების შემფასებელი და სააპელაციო კომისიების შექმნის შესახებ.
11. დაუშვებელია სააპელაციო კომისია შედგებოდეს იმ პირებისგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული შემფასებელ კომისიაში.
12. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, არაუგვიანეს 2024 წლის 18 სექტემბრისა რექტორს გაუგზავნოს იმ პირთა სია, რომელთაც 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში წარმატებით დაასრულეს ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა და სურთ სწავლა განაგრძონ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე.
13. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსის“ საშუალებით;
14. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.
15. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;
16. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი